ჩემპიონატი

“სტალინეცი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი)

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “სტალინეცის”** ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრას დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

პირველი ტაიმის 30 წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია.

“დინამოს” თავდამსხმელთა ხუთეული არ სცილდება “სტალინეცის” კარის საჯარიმო მოედანს. მე–34 წუთზე დამცველები ხელით იჭერენ ჯეჯელავას. არათავისუფალი საჯარიმო გარტყმა კარგად გამოიყენა მარცხენა ნახევარშუამარბმა ბერეჟნოიმ და პირველი ბურთი გაიტანა.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისის ”დინამოს” სასარგებლოდ ანგარიშით – 1:0.

მეორე ტაიმის პირველ 10 წუთში პაიჭაძის ძლიერი შუტები 9–10 მეტრი მანძილიდან შესანიშნავად მოიგერია მეკარემ. მე–11 წუთზე პაიჭაძე მოხერხებულად აწვდის ბურთს ჯეჯელავას, ეს უკანასკნელი კი გზავნის ცენტრში, რომელსაც უნაკლოდ იყენებს ბერეჟნოი და თავური გარტყმით გააქვს მეორე ბურთი.

სტუმრები ცდილობენ მშრალი ანგარიშისაგან თავის დაღწევას და კიდევაც აღწევენ მიზანს. მე-16 წუთზე მარჯვენა ნახევარშუამარბს გააქვს ერთ ბურთი.

ტაიმის მე-31 წუთზე ჯეჯელავას დარტყმით მესამეჯერ ირხევა “სტალინეცის” ბადე.

მეექვსე კალენდარული მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით – 3:1.

მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრა ოდესაში მორიგი კალენდარული მატჩის ჩასატარებლად ამავე ქალაქის “დინამოსთან”. შეჯიბრება ჩატარდება 16 ივნისს.

ვ. გ.–ლია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 10 ივნისი, 1939 წ.